პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

10 აგვისტო ხუთშაბათი

1961 წ.

№ 118 (1754)

გაფოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ტინგი წითელ მოედანზე

...ბ. გ. ს. ტიტოვის მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით წითელ ...ზე გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი. ...ზე სიტყვით გამოვიდა გ. ს. ტიტოვი, რომელშაც მადლობა ...და შეერებილთ პატივისცემისათვის და აღუთქვა კომუნისტურ ... და მთავრობას, რომ იგი მზად არის სამშობლოს სადიდებ... ...ლავაც შეასრულოს ყველა დავალება.

...ზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ... ...ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშ... ...ნ დაახასიათა გ. ს. ტიტოვის კოსმოსში გაფრენის საერთაშო... ...მნიშვნელობა და დამსწრეთ ამცნო, რომ უმაღლესი საბჭოს ...ლუმის ბრძანებულებით გ. ს. ტიტოვს მიენიჭა „სსრ კავშირის ...ნავტ-მფრინავისა“ და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

...ების დამთავრების შემდეგ დიდხანს გრძელდებოდა მოსკოველთა ...ბა ...ლა გ. ს. ტიტოვის პატივსაცემად.

• • •

...ავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავ... ...საბჭოს პრეზიდიუმმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წო... ...ნიჭა გ. ს. ტიტოვს.

„...ნოვოსტის“ სააგენტოს რეპორტაჟი

...ელ მსოფლიოსათვის ცნობი... ...და საბჭოთა კოსმონავტ ...გერმან სტეფანეს ძე ტი... ...ს სახელი. მისი კოსმოსში ...ა ისტორიაში შევიდა. გა... ...და ტელეგრაფის სააგენ... ...დაწერილებით მოგვითხრო... ...ის ცხოვრებისა და სამსახუ... ...ებ. მაგრამ ალბათ ყვე... ...იცის, რომ გერმან ტიტო... ...ტი შესანიშნავი კოსმონავტი ...ურნავი კი არ არის, არამედ ...ერი სპორტსმენიცაა.

...ან ტიტოვმა სპორტში მე... ...ობა ჯერ კიდევ ბავშვობის ...ში დაიწყო. მომავალი კოს... ...ტს მამა სტეფანე პავლეს ძე ... რომ ვაუისათვის საერთო ...ი განვითარება მიეცა, ...როგორც ბევრი სხვა ...ანატოლი, თამაშობდა ფებ... ...ფრენბურთს, ეჯიბრებოდა ...ებს ხტომასა და რბენაში. ...ას განსაკუთრებით ველო... ...ზიდავდა. შეიძლება ითქ... ...მთელ სკოლაში არ იყო ...ელოსიპედისტი, როგორიც ...იყო. მართალია იგი თითქ... ...მონაწილეობდა ოფიციალურ ...ებში, მაგრამ თანატოლე... ...მოწყობილ შეჯიბრებებ... ...ვის გაასწრებს“—იგი ყო... ...ველი უძლიერესი იყო.

...ული წრთობა გერმან ტი... ...ერთხელ დაეხმარა. ერთ... ...და მისი რამდენიმე ამხა... ...ოლიდან სახლში, სოფელ ...ოკოვოში ბრუნდებოდნენ. ...ის ოჯახი ამ სო... ...ცხოვრობდა. სტე... ...ებს ქარბუქ... ...წრო. სიარული ...ძნელდა. გერმანი ყოველ... ...ხვევებდა თანაკლასელებს, ...ალე ორმა გოგონამ ველარ ... ...სიარულის გაგრძელება. მა... ...ანის ინიციატივით ბავშ... ...გოგონები ხელით წაიყვანეს. ...ობა ფეხს უკვეთავდა მო... ...მაგრამ მათ მაინც შეძ... ...ულამდე მიღწევა.

...ტიტოვმა ავიაცია ბავშ... ...ვობიდანვე შეიყვარა. ბიჭუნამ იცოდა, რომ მფრინავი უნდა იყოს ძლიერი, ამტანი, ნაწრთობი და ამიტომ იგი არასოდეს არ აცდენდა ფიზკულტურის გაკვეთილებსა და სპორტულ შეჯიბრებებს.

ტიტოვის მამას, რომელიც ნადირობის დიდი მოტრფიალეა, შვილი ხშირად დაჰყავდა ტყეში. გერმანს ძალზე უყვარდა ნადირობა, თოფით ხელში ხეტიალი ალტაის ტყეებსა და სტეპებში.

სამხედრო სასწავლებელში სპორტული მუშაობა კარგად იყო დაყენებული. ყველა კურსანტი სპორტით იყო გატაცებული. მათ გერმანიც არ ჩამორჩებოდა, განაგრძობდა თავისი სპორტული ოსტატობის ამაღლებას ტანმოვარჯიშეთა და ველოსიპედისტთა სექციებში. აქ იგი გაიტაცა აკრობატიკამ, რომელშიც დოსტატება აუცილებელია ავიატორისათვის, და სპორტის ამ სახეობაში მას დიდი მიღწევები ჰქონდა. გერმან ტიტოვი თავის მეგობრებთან ერთად ხშირად მონაწილეობდა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებში, სადაც ისინი აკრობატულ ნომრებს ახრულებდნენ.

გერმან ტიტოვი — სპორტსმენი

ტიტოვი არ ივიწყებდა სპორტის სხვა სახეობებსაც. ძველებურად სიყვარულით ეკიდებოდა მძლეოსნობაში და ფრენბურთში ვარჯიშს.

მფრინავს კარგად უნდა შეეძლოს დიდი დატვირთვების გადატანა, რთულ მდგომარეობაში სწრაფად გარკვევა. ტიტოვის ფიზიკური მომზადების განუყოფელი ნაწილი იყო სპეციალური აპარატებით მეცადინეობა.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გერმან ტიტოვი ლენინგრადის სამხედრო ოლქის ერთერთ ნაწილში გაიგზავნა. ქვეგანაყოფში, რომელსაც სტეფანე ილარიონის ძე ტულიატნიკოვი მეთაურობდა, სპორტი პატივისცემით სარგებლობდა. მეთაური თავისი

ტიტოვი ... ...ელქვეითებისაგან მოითხოვდა სპორტში რეგულარულ მეცადინეობას. გერმან ტიტოვი ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი იყო. შეჯიბრებაში იგი არა ერთხელ გამოსულა წარმატებით და კარგი შედეგებიც უჩვენებია.

ცოტა მოგვიანებით გერმანი წყალში ხტომის სპორტმა გაიტაცა. ადრე იგი არასოდეს არ გადმომხტარა კოშკიდან ან ტრამპლინიდან. და აი დადგა ძალის პირველი გამოცდის დღეც. გერმანი მშვიდად მივიდა ტრამპლინთან და გადახტა. გაკეთა ლამაზი სალტო და სწრაფად ჩაეშვა წყალში. რასაკვირველია, ამაში მას აკრობატიკაში კარგი წვრთნა დაეხმარა.

— გერმან, თქვენ კარგი წყალშიმხტომელი დადგებით! — უთხრა მაშინ ინსტრუქტორმა და... შეცდა. თუმცა ახლა იგი ამ შეცდომას არ ნანობს.

კოსმონავტთა ჯგუფში გერმან ტიტოვმა პირველმა აითვისა პარაშუტით ხტომის წესები. მან პარაშუტით რამდენიმე ათეული ხტომა შეასრულა. საერთოდ უნდა ითქვას რომ ტიტოვი ჰაერში ისე გრძნობს თავს, როგორც მიწაზე. შეუძლია მოძრაობის დროს კარგი კორდინირება და, რაც მთავარია, არ გამოდის წონასწორობიდან. როგორც ადრე, გერმანი ახლაც გატაცებულია სპორტული თამაშებით, ტანვარჯიშით და ველოსრბოლით.

კოსმონავტმა გერმან ტიტოვმა 25 საათსა და 18 წუთს იფრინა. ნებისყოფის დიდი დაძაბულობა, სიზუსტეც და გამძლეობა — აი ტიტოვის დამახასიათებელი შესანიშნავი თვისებები. სპორტმა—ძლიერი და ვაჟკაცური ბუნების ადამიანების ამ ერთგულმა თანამგზავრმა კოსმოსური ფრენისათვის კოსმონავტის მომზადებაში ერთერთი მთავარი როლი შეასრულა.

ვ. გავრილინი

კალათბურთელები და ფრენბურთელები ჩაებნენ ბრძოლაში

12 აგვისტოს მოსკოვში აღმართება პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადის ფინალის ალამი. ამ საინტერესო შეჯიბრების დაწყების 5 დღით ადრე გათამაშებაში ჩაებნენ კალათბურთელები და ფრენბურთელები. ფრენბურთელ ქალთა პირველი შეხვედრებიდან საინტერესო იყო უკრაინისა და მოსკოვის გუნდების მატჩი, რომელიც დამთავრდა დედაქალაქის სპორტსმენების გამარჯვებით—3:2.

მრავალრიცხოვანი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადისა და საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა თამაშმა, რომელიც დამთავრდა ქართველი სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გამარჯვებით დამთავრდა მათი პირველი კალენდარული შეხვედრები. საქართველოს ქალთა გუნდი შეხვდა სომხეთის სპორტსმენებს. პირველი ტაიმი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შედარებით სუსტად ჩაატარეს და შესვენებაზე წავიდნენ, როცა ანგარიში იყო 27:24 სომხეთის გუნდის სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ ქართველი კალათბურთელები უფრო გააზრებულად თამაშობდნენ და მათ დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 57:46.

საქართველოს ვაჟთა გუნდი შეხვდა ბელორუსიის კალათბურთელებს. თამაში მოიგო ჩვენმა გუნდმა ანგარიშით 80:64 (37:29).

გ. ერმოლაევა — მსოფლიო ჩემპიონი

ირლანდიის ზღვის სანაპირო ქალაქ დუგლასში, რომელიც კუნძულ მენზე მდებარეობს, დაიწყო ველოსიპედისტ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. ინგლისში მსგავსი შეჯიბრება პირველად ეწყობა, ამიტომ მისდამი ინტერესი ძალზე დიდია. შეჯიბრებაზე დასასწრებად კუნძულზე თვითმფრინავებითა და გემებით ჯერ კიდევ ჩამოდიან სპორტის მოყვარული ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან.

2.800 მეტრზე გამოდევნებით რბოლაში წინასწარი შეხვედრების შემდეგ უძლიერეს ექვსეულში გავიდნენ ი. რენდერსი (ბელგია), ბ. ბიორტონი (ინგლისი), ვ. სავინა (სსრ კავშირი), ლ. ეოგინა (სსრ კავშირი), მ.-ტ. ნასენსი (ბელგია), ა. ელე (გდრ). ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ი. რენდერსმა, ვ. სავინამ, ბ. ბიორტონმა და მ.-ტ. ნასენსმა.

ფინალში გასვლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ვ. სავინა და ი. რენდერსი. ბელგიელმა უკეთესი შედეგი—3.59,6 აჩვენა და გავიდა ფინალში. ვ. სავინას დროა 4.07,2. მეორე ფინალისტი გამოავლინა ბ. ბიორტონისა და მ.-ტ. ნასენსის ორთაბრძოლამ. გაიმარჯვა პირველმა — 3.59,5.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლა გაიმართა ბ. ბიორტონსა (ინგლისი) და ი. რენდერსს (ბელგია) შორის. გაიმარჯვა ინგლისელმა სპორტსმენმა და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

სპრინტის დასკვნით შეჯიბრებაში 8 სპორტსმენი გავიდა. მათ შორის 3 საბჭოთა ველოსიპედისტი—გ. ერმოლაევა, ვ. პანფილოვა და ს. სობოლევა. შესანიშნავად გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი გ. ერმოლაევა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა ინგლისელი ვ. რასოორტი და დაიმსახურა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

...ნ არიან ულმანი და ოლაფსონი

...ოვაკიის საკურორტო ქა... ...ანსკი ლაზნაში უკვე ერ... ...ა მიმდინარეობს მსოფლიო ...ის მესამე ზონალური ... ევროპის ქვეყნებისათ...

...ც ცნობილია, ამ ტურნი... ...ტარება დაეკალა ჰოლან... ...ადრაკო ფედერაციას. მაგ... ...ანდიის მთავრობამ თავის ... არ დაუშვა გერმა... ...ნიის დემოკრატიული რესპუბლიკის გროსმაისტერი ულმანი. პროტესტის ნიშნად ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა. მიუხედავად ამისა, ტურნირი მაინც ჩატარდა დახელებული ქვეყნების მოჭადრაკეების მონაწილეობის გარეშე, მაგრამ შემდეგ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ გააუქმა მისი შედეგები და ახალი ტურნირის გამართვა დაავალა ჩეხოსლოვაკიის ჭადრაკის მესვეურებს.

შეჯიბრებაში, რომლიდან საზონათშორისო ტურნირში დაიშვება სამი გამარჯვებული, თამაშობენ გროსმაისტერები ოლაფსონი (ისლანდია), საბო (უნგრეთი), ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), ულმანი (გდრ). ოსტატები — სილვა (პოლონეთი), ნიემალა (ფინეთი), ლუნდკვისტი (შვეცია), ეოჰანსენი (ნორვეგია), გრაგერი (ავსტრია), ბობოცოვი (ბულგარეთი), მილიჩი, ჩირჩი (იუგოსლავია), გიცესკუ (რუმინეთი), ბლუმი (დანია) და სხვები.

გათამაშებული ოთხი ტურის შემდეგ ულმანსა და ოლაფსონს 3,5 ქულა აქვთ თვითეულს, ფილიპს—3, გიცესკუს, მილიჩს, ჩირჩს, ბლუმს, იოჰანსენსა და საბოს — 2 ქულა თვითეულს.

საზონათშორისო ტურნირი დანიშნულია ჰოლანდიაში მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის.



ძასობრივი გასვლა ქალაქგარეთ

თბილისის მეორე ფეხსაცმლის ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტისა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ინიციატივით ამ რამდენიმე დღის წინათ მოეწყო ერთდღიანი მასობრივი გასვლა ქალაქგარეთ — საგურამოში. მასობრივ გასვლაში მონაწილეობა მიიღო 200-მა მუშა-მოსამსახურემ. საგურამოს საშუალო სკოლის მოედანზე მოეწყო შეჯიბრება ფეხბურთსა და ფრენბურთში. გვიან საღამოს ფაბრიკის მუშები და მოსამსახურეები კმაყოფილნი დაბრუნდნენ თბილისში.

ჯ. მორგოშია.



ტურისტული გაზა შეუფერხებლად მუშაობს

ყოველ მესამე დღეს ახალ ტურისტულ ჯგუფებს ლებულობს მესტიის ტურისტული ბაზა. აქ გადის საკავშირო მნიშვნელობის ორი ტურისტული მარშრუტი და ორივე ქალაქ ნალჩიკში იწყება. ერთი მათგანით ტურისტები ჩეგემის ხეობას მოყვებიან, ჩამოდიან მესტიაში და გადიან სოხუმში. მეორე მარშრუტი გადის ბაქსანის ხეობაში, თავდება მესტიაში. აქ ტურისტთა ბაზაში მოგზაურები 3 დღეს რჩებიან.

მესტიის ტურისტული ბაზის საგზურებზე დიდი მოთხოვნილებაა და აქ ყოველწლიურად იზრდება ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენი კუთხეებიდან ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი. ჩვენთან ჩამოდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდანაც.

სულ სეზონის დასურვამდე მესტიის ტურბაზა მიიღებს და მოემსახურება 3.800 გეგმიან და 1.000-მდე თვითმოქმედ ტურისტს.

ტურისტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გასულ წელს აშენდა აბანო სამრეცხაოთი, მაგრამ მოუგვარებელია წყლით მომარაგების საკითხი. ტურბაზის დირექტორი ძიძიგური გვპირდება, რომ უახლოეს ხანებში მოაწესრიგებს ამ საკითხს და საექსპლოატაციოდ გადასცემს ტურისტებისათვის ესოდენ საჭირო ობიექტს.

• • •

სურათზე: ტურისტთა ერთი ჯგუფი კოშკზე ასვლის წინ.

ტექსტი და ფოტო ვ. რატიანისა.

თანამედროვე სპორტული მედიცინის მიზანი და ამოცანები

სადღეისოდ ცნობილია, რომ ორგანიზმის ფუნქციურ გამოკვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კლინიკის, ისე სპორტული მედიცინის პრაქტიკაში. ფუნქციური გამოკვლევის მიზნით სულ უფრო მეტად წარმოებს თანამედროვე ტექნიკის მიღწევების — რთულ ხელსაწყოთა—მედიცინაში გამოყენება, რომელთა საშუალებით ხდება ორგანიზმში სხვადასხვა ფაქტების (მედიკამენტები, ფიზიკური დატვირთვა და სხვ.) ზეგავლენით ფიზიკური პროცესების მხრივ განვითარებული ცვლილებების გრაფიკული აღრიცხვა. მაგრამ აქვე საჭიროა ითქვას, რომ ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, როგორც კლინიკის, ისე სპორტული მედიცინისათვის არავითარ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს გამოკვლევის ისეთ მეთოდებს (ანამნეზი, პალპაცია, აუსკუტაცია, ლაბორატორია და სხვ.), რომელთა გამოყენება ყოველდღიურად ხდება პრაქტიკულ მედიცინაში.

ორგანიზმის ფუნქციური გამოკვლევის (დიაგნოსტიკის) პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ორგანოთა სისტემების ფუნქციური შესაძლებლობისა და ფუნქციური მდგომარეობის საკითხის დადგენას. ასე მაგალითად, სპორტსმენს შეიძლება ჰქონდეს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ მისი სასუნთქავი აპარატი არ იყოს სათანადოდ გაწვრთნილი ან პირიქით. ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა წარმოადგენს სასუნთქავი აპარატის ფუნქციური შესაძლებლობის მაჩვენებელს, ხოლო ფილტვების ვენტილაცია კი ასახავს მის ფუნქციურ მდგომარეობას. აღნიშნულის ცოდნას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მწვრთნელმა და ექიმმა სპორტსმენთან მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მისი ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობებს უნდა მიაქციოს.

როგორც კლინიკის, ისე სპორტული მედიცინის პრაქტიკაში კლინიკა — ფიზიოლოგიური გამოკვლევების დროს ფართოდ იხმარება სხვადასხვა სახის დოზირებული ფიზიკური დატვირთვები (ადგილზე ფუნქციური ცდების შემუშავებას, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს სპორტსმენის ორგანიზმის მდგომარეობაზე.

დღეისათვის ცნობილია, რომ ორგანიზმის შრომისუნარიანობის დადგენის საკითხში მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღსიარული, ბუქნი, ზეტომი და სხვ.), რომელთა საშუალებით წარმოებს არა მარტო ფუნქციური მდგომარეობის დადგენა, არამედ ორგანიზმში ფარულად მიმდინარე მთელი რიგი პარალოგიური პასუხების გამოვლინება. მაგრამ, ყველა არსებული ფუნქციური ცდები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ასახავენ სპორტსმენის ორგანიზმის გავარჯიშებას და ფუნქციური დიაგნოსტიკის შემდგომი განვითარება უნდა ითვალისწინებდეს ისეთი დგენითი პროცესების დინამიკას, რადგან ინტენსიური წვრთნის შემდეგ თვით მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა შორის ადგილი აქვს სხვადასხვა სისტემაში დაღლითი პროცესების არათანაბრად აღდგენას. ყველა ზემო აღნიშნულთან ერთად საჭიროა ყურადღება დაეთმოს წვრთნით გამოწვეულ ცალკეულ ორგანოთა სისტემებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას შორის განვითარებულ ცვლილებათა შესწავლას, რასაც თანამედროვე სპორტული მედიცინისათვის მეტად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს სპორტულ მედიცინაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტულ ტრავმასთან ერთად სპორტული პარალოგიისა და პათოლოგიის წინა მდგომარეობის შესწავლას. თანამედროვე სპორტისათვის დამახასიათებელი სპორტული მიღწევა მოითხოვს სპორტსმენებისაგან მეტად დაძაბულ და სისტემატურ მუშაობას. ასეთმა წვრთნამ შესაძლოა გამოიწვიოს სპორტსმენის ორგანიზმის ძ

[illegible] ტო გადაღლა (ნევროზი), [illegible] მის ცალკეულ ორგანოთა სი[illegible] მაში ჯერ ფუნქციური, ხოლ[illegible] დეგ კი ორგანული ხასიათის [illegible] ლოგიური ცვლილებების გა[illegible] რება.

სპორტულმა მედიცინამ [illegible] უფრო ღრმად უნდა შეისწავ[illegible] და მეცნიერულად დასაბ[illegible] ისეთი მნიშვნელოვანი საკ[illegible] რომლებიც ეხება ჰიგიენურ [illegible] ენიმს. ამ მხრივ განსაკუთრებ[illegible] ტერესს იჩენს წვრთნისა და [illegible] რების დროს რაციონალურ[illegible] ბის საკითხების შემდგომი დ[illegible] ვება.

სპორტულ მედიცინის გა[illegible] რება უნდა პასუხობდეს იმ მ[illegible] რიცხოვან სპორტსმენთა [illegible] საქმიანობას, რომელიც ასე[illegible] მატებით ხორციელდება [illegible] ჩვენს რესპუბლიკაში.

რ. სვანიშვი[illegible]

სსრ კავშირის სპორტულ[illegible] დიცინის ფედერაციის ს[illegible] წევრი.

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). ჭადრაკში XXIX ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის III ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ბაგიროვის შეხვედრა ანოხინთან. ბაქოელმა ოსტატმა ადვილად მიაღწია გამარჯვებას ანოხინის ზერელე თამაშის გამო.

— კლოვანი საგანგებოდ მომზადებულა, — თქვა თბილისელი მოჭადრაკეების მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ, როცა ლატვიელმა ოსტატმა გურგენიძის წინააღმდეგ გამოიყენა მივიწყებული ორი მხედრის დებიუტი. — ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. სამი წლის წინათ ერევანში გურგენიძემ მას ლამაზი პარტია მოუგო, რაშიც პრიზიც მიიღო. ახლა კლოვანს რევანში წუუოდა.

რევანში არ შედგა

მწვავე დაწყებას მალე მანევრული თამაში მოჰყვა. გაიცვალა ლაზიერები. მრავალფიგურებიან დაბოლოებაში გურგენიძემ ჭეშმარიტად ოსტატური გეგმა მონახა და მცირე უპირატესობა მოსაგებ პოზიციამდე მიიყვანა. პარტია გადაიდო. მისი შედეგი ეჭვს არ იწვევს.

პარტია არ დაუმთავრებია აგრეთვე ბუსლაევს, რომელიც პრესს ეთამაშებოდა. რთულ ბრძოლაში თბილისელმა აჯობა მეტოქეს და გამარჯვების შანსები გააჩინა.

წარუმატებლად ითამაშა ლომაიამ ერევნელ ოსტატ ზახარიანთან. თავიდანვე იგი ძლიერი პოზი[illegible] რი დაწოლის ქვეშ მოჰყვა დ[illegible] მარცხდა.

გიპსლისმა მოუგო არაქელ[illegible] მოსიონჟიკმა — კალანტარს[illegible] მით დამთავრდა პავლენკო[illegible] შეხვედრა.

— როგორ აფასებთ გრუშე[illegible] უსტინოვის გადადებულ პოზ[illegible] — შეეკითხნენ მოყვარულები[illegible] რნირის მთავარ მსაჯს გ. გ[illegible] ლაძეს.

—იშვიათი პოზიციაა,—უპ[illegible] მსაჯმა,—უსტინოვს ეტლსა დ[illegible] ლაზიერი აქვს, ხოლო გრუშე[illegible] თითქოს ხაფანგში გამოუმწ[illegible] ვია მისი მეფე. მოსალოდნელ[illegible] იმი.

საიმედო პოზიციაში გ[illegible] პარტია როიზმანმა — ჰალ[illegible] ლისთან.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 118 (1754)

დეპეშები ბეღოდან

რედაქციაში მოვიდა დეპეშები, რომლებიც გვაუწყებენ ცნობებს ქართველ მთასვლელთა იერიშების შესახებ ხეგადასხვა მწვერვალთა დასალაშქრავად. დეპეშებს ხელს აწერს საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი ა. ივანიშვილი. აი დეპეშების შინაარსი:

„ხაკონკურსო ღონისძიებების განსახორციელებლად მაზერი-უშბა-შხელდას ტრავერსისა და ჩატინზე ტექნიკურად რთული ასვლისათვის მოსამზადებელ მუშაობას ვამთავრებთ. ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში იერიშები დაიწყება. ჩვენს რაიონში იმოქმედებს აგრეთვე საკვალიფიკაციო ჯგუფი. სულ მთაში გასული იქნება 30 მთასვლელი".

მეორე დეპეშაში ნათქვამია: „მოიერიშეთა ჯგუფი ობოლაძის, ჯაფარიძის, დევაძის, კვაჭაძის, გაბელაშვილისა და ბერუაშვილის შემადგენლობით 3 აგვისტოს გავიდა მაზერი-უშბა-შხელდის ტრავერსზე, ცვალებადი ამინდის პირობებში განვლო მაზერის მასივი და 6 აგვისტოს შეუდგა უშბის იერიშს. ჩატინის სამხრეთის რთული კედლის იერიში დაიწყება 10 აგვისტოს. ჯგუფში არიან მირიანაშვილი, ბერძენიშვილი, ყაველაშვილი, ხაბეიშვილი, მანაგაძე და თევდორაშვილი".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კურორტ ლესელიძის პანსიონატის — „სპორტის" კალათ ბურთის მოედანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კვლავ მეექვსე ადგილზე

მოსკოვში სამ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირველობა სასტენდო სროლაში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდა 17 გუნდის 200-ზე მეტი სპორტსმენი. როგორც ყოველთვის, პირველი ოთხი ადგილი „დაკავებული აღმოჩნდა" მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და რსფსრ-ს გუნდების მიერ. ამიტომ საქართველოს მესტენდურეთა ამოცანას შეადგენდა ბრძოლა მეხუთე ადგილისათვის.

მეხუთე ადგილისათვის ბრძოლაშიც გვყავდა კონკურენტები ლატვიისა და ბელორუსიის გუნდების სახით. ლატვიელებმა ერთი მსროლელის ჩათვლა ვერ მიიღეს და ისინი ჩამოშორდნენ მეხუთე ადგილისათვის მებრძოლთა რიგებს. ბელორუსიის გუნდმა კი გვაჯობა და კვლავ მეექვსე ადგილზე დავრჩით.

საქართველოს ნაკრები წინა წლებთან შედარებით უკეთესად გამოვიდა, მაგრამ გვიმტყუნეს ახალგაზრდებმა — ნიკურაძემ და ძღენტმა, რომლებმაც 71 ქულა დაჰკარგეს მაშინ, როცა გუნდის სხვა 8 წევრმა ერთად სულ 100 ქულა დაჰკარგა.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი მსროლელები მრგვალ სტენდზე, ანტონოვმა 100-დან 98 ქულა მოაგროვა, მეგრელაძემ — 96 ქულა, სეგალევიჩმა — 95 და სიმონიანმა — 90, თუმცა ამ უკანასკნელისაგან მეტს მოველოდით. გუნდმა შეძლო 400-დან 379 ქულის მოგროვება და გაუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი და ამ ვარჯიშში მესამე ადგილი დავიკავეთ.

ადგილიდან მსროლელებმა მოიპოვეს მეხუთე ადგილი. ძღენტმა გუნდს 200-დან 148 ქულა მისცა, რაც ერთობ დაბალი შედეგია.

საქართველოს გუნდის წარუმატებლობის სხვა მიზეზიც არსებობს, ესაა ნაკრების არასათანადო წვრთნა. ცხადია, არასათანადო წვრთნის შემდეგ უკეთეს მაჩვენებლებს ვერ მოვთხოვდით ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურეებს.

ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნას მომავალში, რათა საქართველოს სპორტსმენებმა პირად ჩათვლაში მაინც დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები, მით უმეტეს სასტენდო სროლა ხალხთა მესამე სპარტაკიადის პროგრამაშიც შედის.

კ. დარასელია,

სპორტის ოსტატი.





შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ხობის „კოლხეთისა" და ბათუმის „განთიადის" შეხვედრა, რომელიც ხობში შედგა. უკვე მე-8 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმრებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს მარცხენა ფრთაზე და ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ამ მომენტში მოხდა კურიოზული ამბავი, რომელიც ჩრდილს აყენებს ხობელ ფეხბურთის მოყვარულებს. მინდორზე გამოხტა კარის უკან მდგარი მილიციელი და ზედ კარის ხაზიდან უკუაგდო ბურთი. მსაჯი იძულებული იყო წესების შესაბამისად სადავო ბურთი დაენიშნა, ბათუმელებმა ტაიმის დასასრულს შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. შესვენების შემდეგ ხობელებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:1. ზემოაღნიშნული ფაქტი, როცა წესრიგის დამცველი „კარის დამცველად" მოგვევლინა, უნდა გახდეს ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი, ვინაიდან თუ ამგვარი რამ კვლავ გამეორდა, პირველობის მატჩები ხობში არ ჩატარდება.

უაღრესად დაძაბული გამოდგა მატჩი ქუთაისში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „იმერეთი" და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. ქუთაისელებმა საუკეთესოდ ითამაშეს ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:2.

გეგეჭკორის „სალხინოსა" და თელავის „კოლმეურნის" შეხვედრაში უკვე პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყვნენ სალხინოელები ანგარიშით 3:1. შესვენების შემდეგ გეგეჭკორის გუნდი კვლავ განუწყვეტლად უტევდა და გამარჯვებაც მას დარჩა — 5:1.

ტყიბულის „მეშახტემ" თავის მინდორზე მიიღო ჭიათურის „მაღაროელი". ტყიბულელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0.

კვლავ წარუმატებლად ჩაატარა მატჩი თბილისის „სპარტაკმა", რომელმაც თავის მინდორზე მიიღო ზუგდიდის „ოდიში". თბილისელთა უსისტემო, სუსტი თამაში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პირველ ტაიმში, როცა სტუმრები მინდორის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. ამის ნათელი ილუსტრაციაა ანგარიში 4:0 „ოდიშის" სასარგებლოდ. თბილისელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში გამოასწორეს მდგომარეობა, როცა სტუმრებმა რამდენადმე მოადუნეს ყურადღება. სპარტაკელებმა გაქვითეს ერთი გოლი და წააგეს მატჩი — 1:4.

დღესაც გვიხდება ლაპარაკი რუსთავის „სპარტაკის" არაორგანიზებულობისა და სუსტ თამაშის შესახებ. „სპარტაკის" გუნდი თამაშობდა საკუთარ ქალაქში ქუთაისის „მშენებლის" წინააღმდეგ. სპარტაკელებმა ვერც ამჯერად შეძლეს სრული შემადგენლობის გამოყვანა და მინდორზე გამოვიდა 10 (!) ფეხბურთელი, ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ამ გუნდმა განიცადა კიდევ ერთი დამარცხება — 0:6.

საინტერესო გამოდგა გორის „დილასა" და სტალინირის „სპარტაკის" მატჩი. მართალია, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, მაგრამ მეორე ნახევრის დასაწყისში მოწინააღმდეგეთა კარებში სულ მოკლე ხანში იქნა გატანილი თითო ბურთი — 1:1. მატჩის დასასრულს სტალინირელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს კიდეც — 2:1.

სამტრედიაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და ფოთის „მეზღვაური". ორივე გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში ძირითადად დაცვაზე ზრუნავდა და შეტევას აწარმოებდა მცირერიცხოვანი ძალებით. მატჩის ანგარიში 0:0 სრულიად შეესაბამება მის მსვლელობას.

ახალციხის „მესხეთმა" თავის მინდორზე დიდი უპირატესობით ჩაატარა თამაში ყვარლის „დურუჯთან" და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:0.

* * *

საქართველოს ზონალურ პირველობაზე ჩატარდა მორიგი მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „განთიადი" (ლანჩხუთი)-„ალი" (დიდი ჯიხაიში) — 5:2, „ლაითური" (მახარაძე)-ჩაისუბანი (ჩოხატაური) — 2:1, მექანიკური ქარხანა (აბაშა)-„განთიადი" (სამტრედია) — 2:1, ჰიდრომექანიკური ქარხანა (ფოთი)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 2:1, „მერცხალი" (ზუგდიდი)-„განთიადი" (ზუგდიდი) —0:4, ჩაის № 1 ფაბრიკა (წალენჯიხა)-ლესიჭინის საბჭ. მეურნეობა (ჩხოროწყუ) — 3:4.

მოსკოვი, 9 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი"-ცსკა.

მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ, თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფტიანიკის" ოსტატთა გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის.

რიგაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი რეზ-ი და ბათუმის „დინამო".

თამაში დამთავრდა ფრედ—2:2.

* * *

სოხუმის „რიწა" ტალინში შეხვდა ადგილობრივ სკფ-ს.

მატჩის შედეგია 1:0 ტალინელთა სასარგებლოდ.

თასის გათამაშება

ფეხბურთელთა 900-ზე მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკის თასის გათამაშებაში ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის, რის შედეგად ფინალურ ნაწილში გავიდა 32 გამარჯვებული.

ბათუმის „განთიადმა" ზუგდიდში დაამარცხა ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის გუნდი ანგარიშით 4:2, ლანჩხუთის „გურიამ" მოუგო ქობულეთის „შუქურას" — 4:1, სამტრედიის „ლოკომოტივმა" — ცხაკაიას საქვაფრობის გუნდს — 3:1.

დიდი ანგარიშით

გუშინ, რუსთავში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ქიევის (შვეიცარია) კლუბი „სატუსი" და რუსთავის „მეტალურგი".

მატჩის პირველსავე წუთებზე ინიციატივა ხელთ იგდეს მასპინძლებმა. შვეიცარელმა ფეხბურთელებმა მეტოქეებს დაცვითი ვარიანტი შესთავაზეს. მათ უკან დასწიეს 8 ფეხბურთელი და შეტევითი ოპერაციების საწარმოებლად დასტოვეს მხოლოდ ორი თავდამსხმელი.

რუსთავის ფეხბურთელებმა ფართო ფრონტით შეუტიეს მოწინააღმდეგეებს. თავდასხმას აქტიურად ეხმარება ნახევარდაცვაც და აი, მეორე წუთზე ყოჩიაშვილი ხსნის ანგარიშს — 1:0. ეს იყო დასაწყისი. სულ მალე ყოჩიაშვილი, შემდეგ ჯავახიშვილი და ნაროხაშვილი ანგარიშს ოთხამდე ზრდიან.

შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ მასპინძელთა მხარეს იყო, რომლებმაც კიდევ 5 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მატჩის საბოლოო ანგარიშია — 9:0 რუსთავის „მეტალურგის" სასარგებლოდ.

Გ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ

ორი დღე გაგრძელდა შეხვედრა გეგეჭკორში ლენინის სახ. კოლმეურნეობის ფეხბურთელებსა და ტყიბულის ორჯონიკიძის სახ. შახტის გუნდს შორის. პირველ დღეს მოწინააღმდეგეებმა ითამაშეს ფრედ — 2:2. ტყიბულელებმა გამარჯვებას მიაღწიეს მეორე დღეს — 6:3.

გათამაშება გრძელდება.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 118 (1754)

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ

● შეჯიბრება ჩატარდება ერთ დღეში. ● მწვრთნელი ბრაზილიელთა შანსებს ოპტიმისტურად აფასებს. ● განგაშის ნიშანი მონბლანის კალთებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

სურათებზე: საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები; ზევით — ი. ტიტოვი ამთავრებს ვარჯიშს ტაიჭზე; ქვევით—ბ. შახლინი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

★



ევროპის თასი

და მისი პრეტენდენტები

1954 წელს მაინის ფრანკფურტში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა დიდი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ. სწორედ მაშინ ჩაისახა აზრი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს ევროპის თასის გათამაშება. მომდევნო წელს იმავე მაინის ფრანკფურტში მოეწყო ახალი თასის პირველი გათამაშება. ჯილდო მოიგო საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ბ. შახლინმა.

1957 წლიდან თასის გათამაშებას საფუძვლად დაედო ახალი, მკაცრი რეგლამენტი. შეჯიბრებისათვის განკუთვნილი ერთი დღის მანძილზე ტანმოვარჯიშეები იბრძოდნენ ექვსჭიდში სავალდებულო თასისათვის (დღისით) და ცალკეულ იარაღებზე (საღამოთი). ევროპის მეორე თასის გათამაშებაში, რომელიც გაიმართა პარიზში, გაიმარჯვა ესპანელმა ტანმოვარჯიშემ ხ. ბლიუმემ.

ორი წლის შემდეგ უძლიერესი სპორტსმენები კოპენჰაგენში შეიკრიბნენ. აქ პირველი ადგილი წილად ხვდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ი. ტიტოვს. კოპენჰაგენის ტურნირის მონაწილეთა შორის არ იყო ესპანელი ხ. ბლიუმე, რომელიც 1959 წლის გაზაფხულზე დაიღუპა საავიაციო კატასტროფის შემდეგ. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით თასის მომავალი გათამაშება, რომელიც მოეწყობა მომდინარე წლის 12 აგვისტოს ლიუქსემბურგში, მიეძღვნება ხოაკინ ბლიუმეს ხსოვნას.

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲛᲝᲜᲑᲚᲐᲜᲖᲔ

დასავლეთინ შვიდი გამოჩენილი შთანველელი — იტალიელები ბონატი, ოჯინი და გალიენი, ფრანგები მაზო, კოლმანი, გიიომი და ვიელი — გავმართა მონბლანინ დასაპყრობად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. მაშინ, როცა მათ გადალახეს მთავარი დაბრკოლება — 800-მეტრიანი კედელი და მწვერვალამდე რჩებოდა ძნელად 200-300 მეტრი, მოლაშქრეები მოხვდნენ უძლიერეს ქარბუქში და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილებმა განგაშის ნიშანი გადმოსცეს ძირს.

საშინელი ამინდის მიუხედავად ორ დღეს ეძებდნენ მაშველნი განსაცდელში მყოფ ალპინისტებს. ბოლოს მათ იპოვეს ბონატი, რომელსაც სიარულის თავიც აღარ ჰქონდა, და მისი ორი თანამოლაშქრე — გალიენი და მაზო. დანარჩენი ოთხი ალპინისტი დაიღუპა 40 მეტრის დაშორებით იმ თავშესაფრიდან, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა ბონატს, გალიენსა და მაზოს. მათ ძალა აღარ ეყოთ ამ მანძილის გადასალახავად.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ამ შეჯიბრებისათვის გულმოდგინედ უმზადებიან ევროპის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები. უცხოური პრესა ფართო კომენტარებს უკეთებს შეჯიბრებას და გამარჯვების ცალკეულ პრეტენდენტებს. საერთო აღიარებით თასის გათამაშებაში მთავარ ფავორიტებად საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეები რჩებიან. შვეიცარელი სპორტული მიმომხილველის აზრით: „საბჭოთა კავშირი პირველი იქნება თასისათვის ბრძოლაში, თუმცა ჩვენ ჯერ არ ვიცით ვის დაყენებას აპირებს იგი გუნდში“. იგივე აზრისა არიან ფრანგი, იუგოსლაველი, უნგრელი სპეციალისტები, მაგრამ საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გვერდით ისინი ასახელებენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. მათ შორის პირველია იტალიელი ფრანკო მენიჩელი.

იტალიურმა ტანვარჯიშმა უკანასკნელ ოლიმპიადაზე მძლავრი ნახტომი გააკეთა ღრმა ზურგიდან ბრინჯაოს საფეხურამდე. უცხოელ სპეციალისტთა აზრით ადვილი შესაძლებელია თასმა მისამართიც კი შეიცვალოს. ისინი ასახელებენ კიდეც გამარჯვებულის გვარს — ესაა ფ. მენიჩელი, 19 წლის ტანმოვარჯიშე, რომელმაც რომში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში და მე-10 ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. წელს იტალიელი არც ერთ შეჯიბრებაში არ გამოსულა, მაგრამ გაათკეცებული ენერგიით ემზადება ევროპის თასისათვის. ოლიმპიური მედლის მეორე მფლობელმა (ვერცხლის მედალი ორძელზე) 20 წლის ჯ. კარმინუჩიმ უკვე რამდენიმე „რეპეტიცია“ ჩაატარა. რუმინეთის ღია ჩემპიონატში მან მესამე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში ლეონტიევის (სსრკ) და ორენდის (რუმინეთი) შემდეგ.

იუგოსლაველმა მ. ცერანმა ოლიმპიურ თამაშებზე უძლიერესთა ათეულში მე-8 ადგილი დაიკავა, ამას წინათ კი მაღალ წარმატებას მიაღწია ცერანმა. მომდინარე წლის მარტში თავის შშობლიურ ქალაქში შეჯიბრებაში უკან ჩამოიტოვა ევროპის ჩემპიონი ი. ტიტოვი, მაკურინი და ლიპატოვი. იუგოსლაველი განსაკუთრებით ძლიერია ღერძზე და ტაიჭზე ვარჯიშში.

ევროპის თასის მესამე პრიზიორი გფრ-ს წარმომადგენელი ფ. ფიურსტი წარუმატებლად გამოვიდა რომში (76-ე ადგილი). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფიურსტმა განაცხადა, რომ თავს დაანებებს სპორტულ გამოსვლებს, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ მან დაიწყო გულმოდგინე ვარჯიში.

დიდი სენსაციით აღინიშნა ამას წინათ დამთავრებული ფინეთის ჩემპიონატი ტანვარჯიშში. საქმე იმაშია, რომ სკანდინავიის სპორტულ მიმომხილველთა მთავარმა ფავორიტმა ო. კესტოლამ ვერ მოიგო თავისი ქვეყნის პირველობაც კი და მე-3 ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი ამ სენსაციურ ტურნირში მოიპოვა რ. ჰეინონენმა, ხოლო მეორე — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტაიჭზე ვარჯიშში ვ. ეკმანმა. ამ მოულოდნელმა დამარცხებამ ფინელები ძალზე შეაშფოთა და ვინ იცის რით დამთავრდებოდა ეს პანიკა, თვით კესტოლას რომ არ გამოესწორებინა მდგომარეობა.

ჩემპიონატის შემდეგ გამართულ საერთაშორისო ტურნირში მან შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია იაპონიის მეორე ნომერს ი. ენდოს. სპეციალისტებს ამან იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა, რომელიც კესტოლამ სულ მალე გააღვივა კიდევ ერთი დიდი წარმატებით. მან ბრწყინვალედ მოიგო ცნობილი ფინელი ტანმოვარჯიშის მ. უოსიკინენის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება.

წარსულში ცნობილმა შვეიცარელმა ტანმოვარჯიშეებმა რომში სრული ფიასკო განიცადეს და გუნდურ ჩათვლაში მე-8 ადგილი დაიკავეს. შვეიცარიის ტანვარჯიშის ფედერაციამ განგაში ასტეხა: მან მოუწოდა შვეიცარიის ყველა სპორტსმენსა და მწვრთნელს გაათკეცებული ენერგიით შესდგომოდნენ დაკარგული პოზიციების აღდგენას. ამ მიმართვამ ერთგვარი ნაყოფი ვამოიღო. აქა-იქ გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ თავიანთი ქვეყნის პირველობაზე ისინი მაინც ვეტერანმა დაჩაგრა. ჩემპიონი 30 წლის ასაკში პირველად გახდა ფ. ფოიცი.

„ევროპის თასს უცხოელი სპეციალისტების აზრით სხვა პრეტენდენტებიც ჰყავს, მაგრამ ყველა ისინი: ფ. დანიში (ჩეხოსლოვაკია), ვ. კაპსაზოვი (ბულგარეთი), ო. სტორ-ჰაუტი (ნორვეგია), ს. ლინდეკვალი (შვეცია) და სხვანი ხვალინდელი დღის ოსტატები არიან. დღეს კი საბჭოთა სპორტსმენებს ღირსეულ წინააღმდეგობას ალბათ ვერავინ გაუწევს, მით უმეტეს, რომ ხ. ბლიუმე ცოცხალი აღარაა“.

რამდენად გაამართლებენ ნდობას ზემოჩამოთვლილი ტანმოვარჯიშეები, ამას გავიგებთ სულ მალე ლიუქსემბურგში.

ᲤᲔᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ბრაზილიის სპორტული გაზეთები ათავსებენ ინტერვიუს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილ ხელმძღვანელ ვ. ფეოლასთან, რომელიც დღეს არგენტინის კლუბ „ბოკა ჟუნიორსის“ მწვრთნელია (ამ გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობას ბრაზილიელები შეადგენენ). ვ. ფეოლამ ილაპარაკა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე და ოპტიმისტურად შეაფასა ბრაზილიელთა შანსები.

„როცა ჩვენ ევროპაში მივდიოდით 1958 წელს, ბრაზილიელთათვის ბევრი რამ გამოცანას წარმოადგენდა. ნაკლები წარმოდგენა გვქონდა ევროპის მოწინავე გუნდების ტაქტიკურ სიახლეებზე, არ გვენახა უძლიერესი მოთამაშეები, დღეისათვის ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ევროპის არა მარტო გუნდებზე, არამედ თვითეულ ფეხბურთელზეც კი. ჩვენი საკლუბო გუნდები და ეროვნული ნაკრები ხანგრძლივ გასტროლებზე იმყოფებოდნენ ევროპაში, რომლის ფეხბურთის 1958 წელთან შედარებით არ ეტყობა შესამჩნევი აღმავლობა. მაგრამ თუ ევროპელები ისევე თამაშობენ, როგორც რამდენიმე წლის წინათ, ბრაზილიაში ფეხბურთი სწრაფად ვითარდება და დღეისათვის თვითეულ ადგილზე რამდენიმე ტოლფასოვანი მოთამაშეა, გარკვეულ სიძნელეს შეიცავს მათგან ყველაზე უფრო ღირსეულთა არჩევა“.

ფეოლამ მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ბრაზილიელები ჩილეში შეინარჩუნებენ მსოფლიო ჩემპიონობას. გაზეთები იუწყებიან, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინა ხანებში მოსალოდნელია ფეოლას დაბრუნება ბრაზილიის ნაკრების სათავეში.

რედაქტორი ი. უგულავა.

ᲓᲦᲔᲡ!

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ



„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი)-

„ᲜᲔᲤᲢᲘᲐᲜᲘᲙᲘ“ (ბაქო)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენინ“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომწვევების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01102